



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და  
ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

23/02/2017

N 35/ო

**„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების განაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 4 იანვრის №1/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების განაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 4 იანვრის №1/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილის, ირაკლი მატკავას უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) ევროინტეგრაციის და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) ინფრასტრუქტურის პოლიტიკისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი;

დ) სამინისტროს მართვაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“;

ე) სამინისტროს მართვაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.;

**ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის, **კახაბერ გულედანის** უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ე) ეკონომიკური დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ვ) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ზ) სამინისტროს მართვაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.;

2. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებისთვის ამ ბრძანების გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ბრძანების გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; №6).

ზურაბ ალავიძე



მინისტრი